ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4530711

ნომერი: AR1672358

თარიღი : 01.04.2019

გაცემის თარიღი : 04.06.2019

გაცნობის თარიღი : 05.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგრალური უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იანეკ შიხიაშვილი პ/ნ 01011030924
- თბილისი განთიადის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტები
  - პოლიკლინიკა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24

მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
წარმოსადგენია მისასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებით თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან, საკადასტრო საზღვრების დატანით.
წარმოდგენილი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია 01.72.14.014.252 მიწის ნაკვეთზე მისაღები არ არის. ხელშეკრულების თანახმად, სერვიტუტით სარგებლობა შესაძლებელი იქნება, თუ მესაკუთრეების მიერ მოპოვებული იქნება დაფინანსება გზის მშენებლობისათვის. ხოლო, თუ აღნიშნული გარემოება არ დადგება, სერვიტუტი შეწყდება. საჭიროა წარმოდგენილი იქნას ისეთი ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად სერვიტუტით სარგებლობა არ არის დამოკიდებული რაიმე პირობაზე, ასევე, სერვიტუტის ხელშეკრულება სავალდებულოა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და წარმოდგენილი იქნას სათანადო ამონაწერი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.